**რედაქცია**
[illegible] თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ [illegible] სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**
[illegible] „დროებას" „ივერიის" რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба"-„Иверіи".

**„დროება"-„ივერიის" ფასი.**

| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება"-„ივერია" ერთად . . | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" . . . . . | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" . . . . . . | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**
[illegible] 1 კაპ. [illegible]
[illegible] რედაქცია [illegible]
განცხადება [illegible] ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**
ღირს ხუთი მანეთი

**ივერია**
ოთხი მანეთი

„დროება" და „ივერია" ერთად
შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პარიჟი, 23 ივლისს. ღენერალურ რჩევებისათვის დაბოლოვებითი კენჭის ყრას, შემდეგი შედეგი აქვს: 902 რესპუბლიკელია ამორჩეული და 372 კონსერვატორი. კორსიკიდამ ჯერ არ მიუღიათ ცნობა.

ლონდონი, 24 ივლისს. ლორდების პალატაში კიდევ ირლანდიელ არენდატორების დაჯილდოებაზედ იყო ბაასი და ეს საგანი 282 ხმის უმეტესობათ 50 ხმის წინააღმდეგ გარდაწყდა.

---

### სიცხისაგან თავის-დახწევა

ტფილისი, 25 ივლისს.

ყველა ამაზედ ჰფიქრობს ახლა ჩვენს ქალაქში.—უჰჶ, რა სიცხეა! რა ვქნათ? სად წავიდეთ? როგორ დავიხწიოთ თავი?!

ჰაერი აღარ მოძრაობს. ამ შეწუხებული გულის გამაგრილებელი და შეგუბებულის სულის შემამსუბუქებელი წვიმა არსადა სჩანს. მტვერი თვალებს გვიფუჭებს, სუნთქვას გვიშლის!

ვისაც გასვლა შეეძლო ქალაქიდამ, დიდი ხანია გავიდნენ სოფლად და აგარაკებში. და თუ ერთი-ორი დღით, რომელიმე საქმისათვის ჩამოდიან, სული უწუხთ, სანამ ისევ გაიქცევიან ქალაქიდამ.

მაგრამ შეძლებულებისა და ქალაქიდამ გასულ ხალხის რიცხვი ძალაუნებურად დარჩენილების რიცხვის მეათედ, მეასედ ნაწილსაც არ შეადგენს. დანარჩენთ აქ, ამ ჯოჯოხეთის სიცხეში, გვხვდება სული. ვერსად ვერ წასულხარ, ვერსად ვერ დაგიხწევია თავი ამ საშინელის სიცხისაგან. ბაღები ჩვენ არა გვაქვს, ტყე არა, ხეირიანი წყლის პირა ადგილები, სადაც ჩრდილში სულის მობრუნება შეიძლებოდეს საღამოობით მაინც—არა. ჩვენი სახლები კი იმნაირად არიან აშენებული, რომ ზამთარში სიცივეს ვერ იჭერენ და ზაფხულში სიცხეს. ეს დალოცვილი ქალაქიც თვითონ ისეთს ადგილას არის აშენებული, რომ, თუ ცოტა სიცხემ დააჭირა, გაძლება აღარ შეიძლება. ორივ მხრით აყუდებული კლდე, რომელსაც შუადღეზე ხელს ვერ მიაკარებს კაცი და კვერცხი რო დადო ზედ, რამდენიმე მინუტში მოიხარშება. ქვაბივით ჩაშვებულა, ჩაწოლილა დედამიწაში.

ქეთილ-განწყობილ და სასიამოვნო საცხოვრებელ ქალაქად თავის დღეში არ გარდაიქცევა ტფილისი, თუ ერთი რამ ზაფხულობით გასაგრილებელი წამალი და საშუალება არ მონახა. ამ წამლათა და საშუალებად ჩვენ მიგვაჩნია წყლის გაყვანა ქალაქში და იმის გარშემო ტყის გაშენება. ორივე ეს საშუალება რომ მოსახერხებელია და შესაძლებელი—ამაზედ არავის არ უნდა ჰქონდეს ეჭვი. Uუ ერთ დროს ყოფილა მთა-წმინდაზე და სოლოლაკის მთაზედ ტყე, რატომ ახლაც არ შეიძლება მოშენდეს, თუ კი წყალი ექნება და მოინდომებენ. ამას გარდა ქალაქს ეჭირება ბაღები, სკვერები; ეჭირება რიგიანი ქუჩები, რომ მტვერისაგან თვალები არ გვიფუჭდებოდეს; ეჭირება ყველა ქუჩებზე ხეების დარგვა და სხვ.

მაგრამ, სანამ ყველა ამას მოვესწრობოდეთ, მანამ ჩვენ-კი ჩვენი დაგვემართება-და!

ამ ჟამად ცოტათი მაინც სიცხისა და მტვერისაგან თავის დასაღწევნელად ორი საშუალება გვაქვს:

როგორც მოგეხსენებათ, ყველაზე უფრო ხშირად ცეცხლი ჩვენ ქალაქში ღამ ღამობით ჩნდება ხოლმე. (რატომ არის ეს? —ბრჩხილებში ვკითხულობთ). ღლისით კი ეს ჩვენი ცეცხლის მქრობი კამანდა თავის წყლის ბოჭკებითა, ცხენებითა და ტრუბებით სულ უსაქმოთ არის. სახლისა და მაღაზიის პატრონებს კარგათ შეუძლიანთ ამ გარემოებით ისარგებლონ: მოურიგდნენ კამანდის უფროსს თავის სახლებისა და მაღაზიების წინ ქუჩა მოარწყვევინონ მუდამ დღე, ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც. ცუდათ მყოფ კამანდას ეს არ გაუძნელდება და ქალაქის გაგრილებისა და გასუფთავებისათვის ეს კარგი საშუალებაა. ძვირად არც მაღაზიების და სახლის პატრონებს დაუჯდებათ.

რასაკვირველია, მთელი ქალაქის ქუჩების მორწყვა ამ გვარად შეუძლებელია; მაგრამ უმთავრესი ქუჩები რომ მოირწყას, ისიც კარგი იქნება.

სანამ ქალაქს თავის საკუთარი წყალი არა აქვს და არც სხვა საშუალება ქუჩების მოსარწყავად, მეტი გზა არ არის, ისევ ისე უნდა მოიცქნენ ჩვენი სახლის პატრონები.

რაიცა შეეხება ქუჩების დაგვას და მტვერისაგან მცხოვრებლების დაცვას—ეს კი სრულიად ქალაქის გამგეობის საქმეა და ამისათვის იმას ქალაქის რჩევამ საკმაო საშუალებაც მისცა. საუბედუროთ, გამგეობა ამ საშუალებას რიგიანად ვერ ხმარობს: რამდენიმე უმთავრესი და უფრო გამოჩენილი ქუჩა კი კვირაში ორჯერ სამჯერ იგვის და დანარჩენი მიყრუებული ქუჩები კი მთელი თვეობით რჩება ხოლმე ნაგვითა და მტვერით სავსე.

ერთი შენიშვნაც: ალექსანდროვის ბაღს აუზი და წყალი აქვს. ადრე, მუდამ ზაფხულობით, აუზში მუდამ წყალი აშვებული იყო და თვითონ ბაღშიაც წყალი მოჩუხჩუხებდა. წელს კი აუზში თითქმის სულ დამპალი წყალი სდგას და ბაღსაც ათასში ერთხელ რწყვენ. ასე რომ ვერც ამ ერთად ერთს ბაღში სიცხისაგან შეგუბებული სული ვერ მოგვიბრუნებია საღამოობით მაინცა...

---

## ახალი ამბები

—

გამოჩენილი საფრანგეთის გეოგრაფი—ელიზე რეკლიუ ამ ჟამად

---

## ფელტონი

—

### მოხევეები და იმათი ცხოვრება

IV

(გაგრძელება *)

ყველა ტანჯვაზედ მომეტებულ სატანჯველად მოხევებს სალდათების შინ ჩაყენება მიაჩნიათ. ეს იმიტომ კი არ მოსდით, რომ თითონ სალდათები არ უყვარდესთ; არა, მოხევეები ყველა მეომარს კაცს თანაგრძნობით უყურებენ, მაგრამ სალდათებში ბევრი ისეთნი ურევიან, რომლებიც სახლის იარაღს, ქათმებს, კვერცხებს და სხვ. იპარევენ. ამას გარდა სალდათები, შეჩვეული თავისუფალს ლაპარაკს, დედა-კაცებთანაც თავს ველარ იჭერენ და თითქმის ყველა საუბარს უშვერის სიტყვით აზავებენ. მოხევეებში, ამ მხრით, დედა-კაცი დიდს პატივში არის და თავის დღეში, ვერც ერთი მოხევისაგან ვერ გაიგონებთ უწმაწურს ლაპარაკს, თუ ის ახლო-მახლო სადმე დედა-კაცსა ხედავს.

ამ მიზეზების გამოისობით მოხევე ყოველ ღონისძიებასა ხმარობს, რომ სალდათი შინ არ ჩაიყვანოს.

მამასახლისმა იცის ეს ძალიან კარგათ და ამიტომაც უეჭველად იმათ მიუყენებს იასაულს და სალოათებს, ვისგანაც გამორჩომის იმედი აქვს. ღლეხ-კაციც გარბის მამასახლისთან, ეხვეწება, სთხოვს, აძლევს უკანასკნელს წვითა და დაგვით ნაშოვნს ფულს და ამით იშორებს თავიდგან დაუპატიჟებელს და, იმის აზრით, შემაწუხებელ სტუმარს... ასე მიუყენებენ რამდენიმე გლეხს კარებზედ და ბოლოს გაუგზავნიან ისეთს გლეხს, ვისაც ფულის გაღება არ შეეძლება და მაშასადამე, თავისივე უნებურათ, გულ-მხიარულ მასპინძლად უნდა დახვდეს ჩაყენებულ სალთადებს და გულის ხეთქით ყური უგდოს იმათ უწმაწურ ლაპარაკს...

ამდენ ჯაფას ხომ არ აკმარებენ ამ საცოდავ, წვალებულ ხალხს, რომელიც ყველაფერს ითმენს და იმედი აქვს ვილაზედაც და რალაზედაც; ახლა ინჟინერები გაუტყვრნენ და ისინი აწევინებენ ბეგარით. დასჭირდება ხალხი თუ არა, მაშინვე ეს გზის მკეთებლები, რომლებიც ქვეყნის ფულსა ხარჯავენ და გზები მაინც ვერ გაუკეთებიათ, შეატყობინებენ ურიადნიკს, მამასახლისს, რომ ამდენი-და-ამდენი კაცი გვეჭირებაო. იმათაც უნდა გამოიყვანონ მოხევეები და ცხვრებსავით მიურეკონ ინჟინერებს.

რასაკვირველია, რომ თუ არ მათრახის ძალა, ისინი არ გაჰყვებოდნენ ინჟინერებთან სამუშაოთ, რადგანაც ისინი მუშებს ღირსეულს სასყიდელს არ აძლევენ; და ამასთან იმისთანა შემთხვევებიცა ყოფილა, რომ ბ. ინჟინერს ბარათები დაუხევია მუშებისათვის და ფული კი აღარ მიუცია, სანამ ძალა არ დაუტანებიათ. ერთ ვილაცა ყმაწვილ კაცსაც კი აელო, მუშა მოხევეების საქმე და სულით სდომნია წაყვანა ამ საქმისა; ის თურმე ძალიან იმედობდა საქმის მოგებას, რადგანაც იმ ბარათების დახევის დროს მოწმეები დასწრებიან.

მაპატიეთ, თუ ცოტა-ხანს შეგაყენოთ და გაგაცნოთ—რა ბარათებ-

*) იხილე № 158 „დროებისა".

კავკასიის გეოგრაფიასა და ამის მოსამზღვრე აზიის ქვეყნების გეოგრაფიას აბეჭდინებს პარიჟში. აი რამდენიმე თვის წინათ ელიზე რეკლიუს ეთხოვნა ჟენევაში ერთ თავის ნაცნობ ქართველისათვის, რომ ეშოვნა იმისათვის კავკასიის ხალხების ტიპები (სურათები) და ჩვენი ქვეყნის ეტნოგრაფიული ცნობები მოევროვებინა. ამის გამო იმას გაუგზავნეს ქალაქიდამ ნათხოვნი ტიპები კავკასიის სხვა-და-სხვა ხალხებისა და აგრეთვე შესანიშნავ ადგილებისა, თუ ქალაქების და ციხე-მონასტრების სურათები. ეს ტიპები და სურათები, უეჭველია, გამოადგებოდა ამ გამოჩენილ მეცნიერს იმ თავის თხუზულების მეოთხე ტომისათვის, რომელიც, როგორც სამზღვარ გარეთის გაზეთებში იწერებიან, ამ ჟამად იბეჭდება პარიჟში და ამ შემოდგომაზედ გამოვაო.

* * *

ფოთი-ტფილისის რკინის გზაზე მოგზაურები სჩივიან, რომ ამ საშინელს სიცხეში, როდესაც კაცს ვაგონებში სული ხდებაო და წყურვილი აწუხებს, სტანციებზედაც კი ვერ გვიშოვნია დასალევი წყალიო. თითქმის ყველა სტანციებზე თბილი წყალი დგას ბოჩკაშიო და განსაკუთრებით გომის სტანციაზე ისეთი თბილი და თან ბინძური წყალია ხშირად, რომ კაცი ახლოს ვერ მიეკარებაო.

* * *

ოჩამჩირის (აბაშის) საპრისტაოს გლეხები სხვა გვარ საჩივარს აცხადებენ: ესენი თავიანთ პრისტავს უჩივიან, რომ როდესაც სადმე სხვა მაზრაში წასვლა მოგვინდება, პრისტავთან ბილეთი უნდა ავიღოთ და ამ ბილეთში მანეთს გვახდევინებსო. და-ბა სუჯუნის პრისტავი კი ამგვარსავე ბილეთში მხოლოთ ორ შაურს ბეჭდის დასაკრავ ფულს ახდევინებსო.

* * *

ფაიტონების რიცხვი გამრავლდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენ ქალაქში. ადრე ათასჯერ უნდა დაგეძახნა, შეხვეწნოდი ჩვენებურ მეფაიტონეს, რომ ერთხელ მოწყალეს თვალით შემოეხედნა და წამოგყოლოდა; უფრო ხშირად კი ზედაც არ შემოგხედავდა, ბევრიც რომ გეძახნა. ახლა კი თვითონ გთხოვენ — წაგიყვანთ, „თავისუფალი“ ვართო.

ამ ფაიტონების გამრავლების მიზეზი, უეჭველია, ქერისა და ბალახის უხვი მოსავალი უნდა იყოს.

* * *

დ. ქვირილადამ გვწერენ, რომ დმ. ქვირილის ხიდი ისეთ ნაირად დაძველებულია და დასუსტებული, რომ, — უეჭველია, დღე-დღეზე ჩაინგრევა და კაცი ყურადღების მიმქცევი და აუცილებლად საჭირო ხიდის შემკეთებელი არ არისო.

* * *

ფოთიდამ გვწერენ:

„ჩვენი ფოთი თითქმის საქები იყო მით, რომ ქურდობა, ავაზაკობა და კაცის კვლა ძალიან იშვიათათ ხდებოდა. გარეთ რომ საქონელი წყობილიყო, არავინ მოიპარამდა, არ დაიკარგებოდა. ეხლა გარეთ კი არა, სახლშიაც ყარაულიც რომ ადგეს, მაინც იპარავენ, და ჯიბის ქურდებიც გახშირდენ; თუ სადმე ნახეს სიმრავლე ხალხისა მაგალითათ, ეკლესიაში, ქორწილის დროს, ღამე ვაგზალში, პოეზდის მოსვლის თუ წასვლის დროს, ბილეთების სყიდვის დროს, და სხვაგან ამისთანა ალაგებში ძალიან სარგებლობენ ეს ბატონები“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ს. ჯიხაიში, (ქუთ. გუბ.) 18 ივლისს. მინდა რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ ჩვენი სოფლის ბანკზედ, რომელიც, თუ არ ვსცდები ყველაზედ პირველი სასოფლო ბანკი იყო ჩვენს გუბერნიაში.

დამაარსებელი ამ ბანკისა იყო განსვენებული ბესარიონ ღოლაბერიძე, რომელიც განაგებდა ამ ბანკის საქმეებს ბანკის დაარსებიდგან ვიდრე თავის სიკვდილამდინ, ესე იგი: 1879-მდი.

ამ დროის განმავლობაში ძლიერ კარგად მიდიოდა ჩვენი ბაკის საქმე, რაკი ყურის მგდებელი კარგი ჰყავდა. მოკვდა ბ. ღოლობერიძე და მისგან კეთილად განწყობილი ბანკიც თავზე უპირებს დაკდომას. შეიძლება იმედი ვიქონიოთ ამ ბანკის სიცოცხლის გაგრძელებაზე, თუ იმას რიგიანი განმგებლებს აღმოუჩენენ, მაგრამ, თუ განმგებლებთ რიცხვში დარჩა ის პირი, რომელიც ეხლაც ატარებს ამ სახელს მაშინ კი საეჭვო იქნება ამის სიცოცხლე ბანკის განმგებლებათ არის სამი კაცი: ჩომახიძე, მოსეშვილი და აზნ. რუბენ ღოლობერიძე. ამათში ჩომახიძე განაგებს ბანკის საქმეს თვით მისი დაარსებიდგან ამ ჟამამდი, დანარჩენი ორი კი აღმოირჩიეს ამ 1880-მაისის თვეში.

ის პირი, რომელიც დაღუპვას ემუქრება ჩვენს ბანკს, გახლავსთ მღ. ჩომახიძე. ამის უწესოდ ქცევა აი მოკლედ რაში მდგომარეობდა: იღებდა გასესხებულ ფულებს ამხანაგების დაუსწრებლად და ბანკის ზანდუკის გასაღების უქონლობის გამო, რომელიც ჰქონდა მეორე ამხანაგს, ინახავდა წინდებში თავის ფულებთან ოთხშაფათამდი (ეს დღე არის დანიშნული კვირაში ბანკის სამუშაო დღედ) და ურიგებდა წევრებს უოთხშაბათოდ, ისიც სად და რანაირად? გამოჰქონდა მარტო ნაწირევებს უანგარიშოდ გროშები და ურიგებდა ვისაც რამდენი ერგებოდა და თუ სოფელში წასვლა ეჩქარებოდა, მაშინ დაიხმარებდა უცხო პირეს, რომლებსაც აძლევდა მუჭ-მუჭად გროშებს და თვითონ კი უკითხავდა, ვისთვის რამოდენი უნდა მიეცა! ამგვარის მოქმედებით ადვილად შეიძლებოდა ფულის გადაყოლ-გადმოყოლა და რაკი, ბანკის წესის ძალით, პასუხი ბანკის ზარალში სამივე ამხანიგებს ერთ ნაირად მოეთხოება, ამის გამო ამხანაგებმა, ბევრი უსარგებლო თხოვნის შემდეგ იმაზე, რომ დაანებოს ამ მღვდელმა ამ ნაირ უწესოდ ქცევას თავი, ზოგმა ვადის გათავებამდიც დასტოვა თავის სამსახური და ზოგმა ვადის გათავების შემდეგ.

ამ ნაირად მოიშორა თავიდგან ამ მღვდელმა ოთხი ამხანაგი.

ახლაც დიდი არეულობა გახლავთ ჯიხაიშის ბანკში კიდევ ჩომახიძის წყალობით ასე, რომ ორი კვირაზე მეტი ეს ბანკი დახურული იყო. ჩომახიძემ ინება დროებით ბანკის დახურვა და შეიტანა განცხადება, რომ ბანკის განმგებლად არ უნდა დარჩენა. დროებით, მეთქი, ვამბობ და მართალიც გახლავთ ასე, რომ ეს მღვდელი მზად არის მოუბრუნდეს თავის სამსახურს იმ პირობით, თუმცა იმას ამხანაგებად მისცემენ იმ პირთ, რომლებსაც ის თვითონ აღმოირჩევს და არა საზოგადო კრება და ის კი, უეჭველია, უჩვენებს იმისთანა პირებზე, რომლებიც „კი ბატონის“ მეტს ვერაფერს ჰკადრებენ. ამ გვარ ჩხუბში და აყალ-მაყალში ატარებს ეს მღვდელი თავის სამსახურს თვით ბანკის დაარსებიდგან აქ ამ დრომდი.

ბანკს გარდა სასოფლო სკოლაც მალე ეღირსებოდა ს. ჯიხაიშს, თუ ისევ ეს მღვდელი არ შლიდეს საქმეს: როდესაც წასრულ წელში ამ კეთილ საქმისათვის ხალხის შესაგონებლად ჩამოვიდა ს. ჯიხიაში გ. ღ. და აუხსნა ხალხის სკოლის მნიშვნელობა, აზნაურმა და გლეხმა ერთბაშად თანხმობა გამოაცხადეს სკოლის აშენებაზე და, დაწესებული წლიური გარდასახადის გარდა, უმეტესმა ნაწილმა მოაწერა ხელი სკოლისათვის ფულის შესაწირავად შეძლებისა-და-გვარად. ეს გაწყობილი კეთილი საქმე დაშალა მღვდელმა ჩომახიძემ: დაუწყო ხალხს ქადაგობა, ვითომც სანამ ის ცოცხალია სკოლა არ იყოს ამ სოფელში საჭირო; ხალხზე იმოქმედა ამ მღვდლის სიტყვებმა, რადგანც ის ტყუილა უბრალოდ აცდენს ათამდი ყმაწვილს და ხალხს კი ჰგონია, ვითომც და მართლაც რასმეს ასწავლიდეს ყმაწვილებს.

24 გავლილ ივნისს იყო ბანკის თაობაზედ საზოგადო კრება სოფლისა, რომელმანც დააკმაყოფილა მღ. ჩომახიძის სურვილი და დაითხოვა სამსახურიდგან. მის მაგიერად ამ საზოგადო კრებამ ბანკის განმგელბლად ერთ-ხმით და უკენჭოთ აღმოირჩია მღ. პეტ. ცაგერეიშვილი. ამ ახალი გამგეობის ხელში, იმედია, უფრო რიგიანად წავა ჩვენი საქმე.

ნიკო ცაგერეიშვილი.

---

ზედ არის ლაპარაკს და რა რიგათ მოხდა იმათი დახევა.

ინჟინერი ბ. პ--გან დისტანციაზედ არის დაყენებული რამდენიმე კაცი ზედამხედველად. ამათი მოვალეობა არის ჩაიბარონ მუშები და ყველა იმათგანს ნამუშევარი ღღე ჩაუწერონ ქაღალდზედ, რომელიც მუშებს აქვსთ. ერთს დღეს ბ. პ—ს მუშებისათვის დაეხია ეს ქაღალდები და ფულიც აღარ მიეცა!.. მაგრამ ერთი კი დაავიწყებოდა ამ პატიოსანს ინჟინერს, რომ ეს საქმე უმოწმოთ მოეხდინა: იმის საუბედუროთ, მოწმებათ გარეშე პირები დაესწრნენ, და გამოაშკარავდა ისა, რასაც ყველაზედ მომეტებულად დაფარვა ეჭირიბოდა. ბ. პ. ამბობდა თურმე შემდეგ, რომ იმან შეამჩნია თავის ზედამხედველებისაგან მეტის დღეების ჩაწერა და იმიტომაც დახია ეს ქაღალდები; მაგრამ ჩვენ კი ისე გვგონია, რომ თუნდა ეგრეცა ყოფილიყო, რა კი იმისგან დაყენებულმა ზედამხედველმა ჩაწერა ქაღალდში: ესა-და-ეს მუშა, ამა-და-ამ დღეს მუშაობდაო, ბ. პ—ს დახევის ნება აღარ ჰქონდა; თითონ მუშასაც, რომ მოემატებინა დღე, მაშინაც არა ჰქონდა ბ. ინჟინერს, თავისის ნებით, დაეხია, და თუ სურდა, შეეძლო საჩივარი სუდში, სადაც უფრო კარგათ გამოიკვლევდნენ საქმეს, ვიდრე ბ. პ..

ახლა გკითხამთ ამისთანა შემთხვევების შემდეგ ვილა წავა ამ გვარ ხალხთან სამუშაოთ?.. გლეხი მოაცდინეს სამუშაოს, იქნება ზაფხულშიაც, როცა გაცხარებული თიბვა ან მკა იყო, სამი აბაზის მეტი არ უანგარიშეს დღეში და ისიც აღარ მისცეს და ბარათები-კი დაუხიეს!.. გაგონილა სადმე ამისთანა უსამართლობა, ამისთანა ხალხის წვალება?.. მოხევეებს რომ რიგიანი მამასახლისი და მოხელეები ჰყოლოდათ, შეადგენდნენ ქაღალდს, ყველგან შეატყობინებდნენ, ყველას გამოუცხადებდნენ ამ გვარს შემთხვევას და უმაღლესი მთავრობაც ყურადღებას მიაქცევდა; მაგრამ რა ენაღვლებათ მამასახლისს, ურიადნიკს და სხვა მაღალ და დაბალ ხარისხოვანს მოხელეებს? თითონ ჩემთან ერთმა ინჟინერმა ურიადნიკს ხალხის მოგროვებისათვის 25 მან. უბოძა და, უეჭველია, მამასახლისსაც მისცემდა რასმე. რა დავარქვათ ამ საჩუქარს?..

მოხევეები გაჰყავთ კიდევ ერთს ბეგარაზედ, ზამთარში, მთაზედ, ამავე ინჟინერთან და ეს შემთხვევა კიდევ უფრო ყურადღების ღირსია: მთა იჯარით არის აღებული სხვა-და-სხვა პირებისაგან, რომელნიც მოვალენი არიან თვის მუშები იყოლიონ და ამას გარდა, როდესაც დროება მოითხოვს, მაშინ კიდევ იმდენი მუშა უნდა იშოვნონ, რამდენსაც ინჟინერები საჭიროთ დაინახავენ. ამ მოიჯარადრეებს თვის მუშები-კი ჰყავთ, მაგრამ რამწამს მეტი ხალხი დასჭირდებათ, მაშინათვე პრისტავსა და მამასახლისსა სთხოვენ და ისინიც ბეგრით ერეკებიან?!

მოხევე ხალხი შეიძლება სამათ გავყოთ: ერთი ნაწილი ისინი, ვინც ყველაზედ ღარიბები არიან და თავიანთის სიბეჩავით, ვერ მოუგიათ იმათი გული, ვისაც ხელში უჭირავს ამ გალატაკებული ხალხის ბედ-იღბალი. ამისათვის ეს ხალხი აუცილებლათ, იმათი რიგი იქნება — თუ არა,

კახი, 15 ივლისს. Ცუდი დრო დადგა ამ ჩვენს ზაქათლის მაზრაში! გახშირდა კაცის-კვლა, რომელიც ამ ორ თვის განმავლობაში მოხდა სამ ჯერ: ერთხელ Ყარამიშაში და ორი ალბალოში. რაიცა შეეხება ქურდობას, სახლების წვას ამას საზღვარი არა აქვს!

რათა ხდება ამისთანა საქმეები, ჩემი ვალი არ გახლავთ პასუხის გება და ნამდვილი მიზეზის შეტყობა. Ეს კიდევ არაფერი ბატონო, რადგანაც ამისთანა მოვლინების მიზეზი თათრის ხასიათს მიეწერება; აქ თათრების გარდა მართლ-მადიდებელი ქრისტიანები გახლავან, რომლებშიაც ქადაგობენ ჩვენი სულიერი მამები, ქრისტიანობის საფუძვლის დამაარსებლიები. Ესენი როგორები-და არიან; სულ ყველას ვერ ვიცნობ, მხოლოდ ერთზედ კი ბევრი რამეები და ნამდვილები მითხრეს კახელებმა.

Კაცს ქვის გული უნდა ჰქონდეს, რომ ამისთანა საქმეების ჩადენას გულ გრილად უცქეროდეს და არაფერს არ ამბობდეს, მომეტებულად იმისთანა პირზედ, რომელსაც თუ საყდარში, თუ სახლში სახარება წინ უნდევს!

Შარშან „Დროებაში“, აღარ მახსოვს მერამდენე ნომერში იყო დღიურში დაბეჭდილი რომ Კახის ბლა—მა ორ ინგილოდგან, ერთისაგან 25, მეორესაგან 20 მანეთი აილო და ისე დასწერა ჯვარიო. Ჯერ ამბობდაო, რომ ნათესავები ხართ ჯვარი არ დაგეწერებათო, მაგრამ როცა ფულები აილო, ლხენა გაქვს და მაქვს, რომ ლამაზათ დაეწერა მაშინ ჯვარი! Იმისათვის არის ნათქვამი: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“. Ამ ბლაღოჩინზედ იჩივლეს ეგზარხოსთან. Ბოლო რითი გათავდა არ ვიცი.

Ერთმა კიდევ სხვამ იჩივლა ამაზედ: „Დედა-ჩემი უზიარებელი მომიკლა, სამჯერ მიველ და არ მოვიდაო“. Ამაზედ ექსარხოსმა ღირსეული ყურადღება მიაქცია; დანიშნა გამოძიება, რომელიც ჩააბარა Ნუხის მღვდელს. Მოჩივარი გამოძიების დროს დაიბარეს, შეაშინეს საწყალი კაცი და ისე სთქვა, როგორც უბძანეს, და ასე მშვიდობიანად გამოძიება და საქმეც წარუდგინეს ეგზარხოსს.

Სწორეთ თათრები რომ ამბობენ: „ბედითა ცხოვრობს კაციო“—მართალი უნდა იყოს! Შარშან ექსარხოსის განკარგულებით ბლაღოჩინების რჩევა მოხდა ყველგან და აქაც. Ეს ძველთაგანი აღარ ამოირჩიეს, მაგრამ, არ ვიცი როგორ მოხდა, ისევ ამას დარჩა! Დაიმკვიდრა თუ არა ხელ-მეორედ ბლაღოჩინობა, სიცოცხლე გაქვსთ, რომ მეორედ მიბრუნებულ ცივებ-ცხელებასავით მღვდლებს და დიაკვნებს შავი დღე დააყენა და ეხლაც იმ დღეში არიან! Შიშით ვერას ეუბნებიან, რასაც მოითხოვს, თუ აქვთ, აუცილებლივ უნდა აღუსრულონ. Აგერ რვა თვე იქნება თითქმის, რაც მოძღვართ-მოძღვარს ათი თუმანი ფული დასტყუა უვექსილოდ, მალე მოგცემო, მაგრამ სად არის! Ეუბნება „მამეო ან თამასუქი მაინც მიბოძე, რომ მერე საქმე ცუდათ არ იქნესო“. Ამაზედ ეუბნება თურმე: თამასუქი რათ გინდა, ეხლა ჯამაგირს ავიღებ და მოგცემო. Ამ მღვდელს სხვაფრივ ღონის-ძიება ვერ უხმარნია, ეშინიან, ხრინკს მიგდებსო, რომელიც უხვად აქვს. რაიცა შეეხება პრიჩეტნიკებს—ესენი კიდევ ისე ჰყავს დაშინებულები, როგორც ნიბლია ალალს. Ამათი ცხენებს, თუ ბოსტნეული ამის ცოლ-შვილის ჭირისა და საკეთილ დღეოთ არის სანაცვლო. Წარმოიდგინეთ რამდენათ ჰქონიათ ამისი შიში: ამისი ცოლ-შვილი ივნისის 24-ს სცხოვრობდა Თელავში. Განიზრახა ტროიკით მოყვანა, მაგრამ ჯიბის დაკლება არ ისურვა. Ერთ პრიჩეტნიკთაგანს ჰქონდა ერთი ცხენის ურემი; შიგ შააბა ორივე პრიჩეტნიკის ცხენები (ვალით და სისაწყლით ნაყიდები), თვით შებძანდა თავის ცხენზედ და ქოროღლივით მამაცურათ გაუდგა გზასა. Ავიდა მშვიდობიანათ Თელავში; ჩასხა ცოლ-შვილი ხუთი სული, მეექვსე პრიჩეტნიკი ცხენების გამლელი. Მძიმეთ მოსვლოდა საპანე ბარგითურთ ცხენებს, ს. Ანაგაში რომ მოსულიყვნენ, დაცვივნილიყვნენ, კისრები დასიებოდათ. Ცხენები კიდევ არ შეიბრალებდა, მარამ ამათ ბედზედ, ურემსაც თქვენი ჭირი წაელო. Მერე დაეჭირა გლეხის ურემი ორ თუმნათ და ისე მობძანდნენ Კაკში და ხარჯი მოსვლოდა ოთხ თუმნამდის წვალებას გარდა.

. . . .

მოსული.

# რუსეთი

—

Პეტერბურღიდამ იწერებიან, რომ თუ ვინიცობაა Ჩინეთთან ომი მოხდა Აღმოსავლეთის Ციმბირში დროებითი სამხედრო საავათმყოფო გაიგზავნებაო, რომელსაც თან გაჰყვება 34 ექიმებიო.

—

Მოსკოვის უწყებებს აცნობებენ, რომ Პარიჟელ ტეხნოლოგს Შნეუერს წინადადება შეუტანია Ფინანსთ სამინისტროში, რომ რუსეთშიაც შემოიღონ Საფრანგეთის მსგავსად, Სპიჩკის გადასახადი. Სამინისტრო თურმე უკვე შესდგომია ამ წინადადების განხილვას.

# უცხოეთი

—

ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ. Ვენიდამ გაზეთს გოლოსს სწერენ: Აქაურს მმართებლობის წრეებში ამბობენ, საერთო ნოტაზე Ოსმალეთისაგან წარმოდგენილ პასუხში, გამოცხადებული იყოვო სურვილი, რომ იმის და Საბერძნეთის შუა ხელ-ახლავ დაწყებულიყო მოლაპარაკებაო. Ამას Ევროპის სახელმწიფონი ყურადღებას არ მიაქცევენო. Მათის აზრით ზღვაში დემონსტრაცია გარდაწყვეტილი საქმეა.

Საფრანგეთის გაზეთში „*Moniteur Universel*“-ში სწერია დემონსტრაციაში სულ 12 გემი მიიღებს მონაწილეობს. Მათ შორის Საფრანგეთი და Ინგლისი სამ-სამ გემს გააგზავნიან და სხვები კი ზოგი ორ-ორს და ზოგი თოთოსო.

—

Ბრიუსელის კორრესპონდენციიდამ, რომელშიაც აწერილია 18-ივლისის ყოფილი დღესასწაულობა საეკლესიო თავისუფლების სახსოვრად:

„როცა Ბილიერმა (დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეა) გაათავა მეფის სადღეგრძელოდ წარმოთქმული სიტყვა, ის დაჯდა. Საზოგადოებისაგან ტაშის კვრის შემდეგ იგი ხელახლავ ადგა და სთქვა:

„Ვსვამ ბეჭდვის სადღეგრძელოს, ბატონებო! Ბეჭდვა გახლავსთ ყოველნაირს ძალადობას მოკლებული სამეფო, რადგანაც იგი ემყარება საზოგადოებრივი აზრის კეთილ-სურვილის არჩევანს. Ბეჭდვა XIX საუკუნოის დიდებული ქმნილებაა; ის არის ყოველგან ჩვენს ვროლრიაშამო. Ის არის მომჭირნე ყარაული მარად დაუღალავი, ას თვალიანი Არგუსი, მართლიო ხმოვანობა, სამართლიანობის დამცველი; ის არის მარადი განმხილველი, სვინიდისი კაცობრიობისა. Იგი ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის; ის არის დიდებულ საქმეთა მახარობელი, მეცნიერების გამავრცელებელი, სრული ჩვენი ეპოქა. Იგი ამზადებს რეფორმებს, გვითითებს შეცდომაებს, მონაწილეობას იღებს ყველა ბრძოლაში; არც ერთი ამღელებელი გრძნობა მას არ აკლია; იმან იცის წინ-დახედულობის ყოველი დედააზრები. Ბეჭდვა აკეთილშობილებს, ამაღლებს და სწმენდს ყოველნაირ აზრთა ბრძოლას. Იგია მნათობი ქვეყნისა; ერთ რიგათ მასწავლებელი მეფეთა და ხალხებისა. Ვსვამ ყველა მსჯელობის მუშების სადღეგრძელოს, ცივილიზაციის საქმის ყველა თანამშრომლებისას და უფლების მამაცურად დამცველებისას. Ვსვამ ბეჭდვის დიდების, მისი გავლენის და თავისუფლების სადღეგრძელოს!“

Ერთობითი დაუბოლავებელი ტაშის-კვრით ევებებოდა აღტაცებული საზოგადოება ამ მშვენიერს სადღეგრძელოს ყოველ ფრაზას.“

—

Ლონდონიდამ იწერებიან. Ინდოეთში ოთხი გემით გაიგზავნება ჯარებიო. 3 აგვისტოს პირველი გემი უნდა გავიდეს და 12 უკანასკნელი 12-ს.

—

Მოგვყავს შემდეგი ალაგი გოლოსის

---

გადიან ყოველ გვარს ბეგარაზედ.

Მეორე ნაწილიც ისინი არიან, რომელთაც შეუძლიანთ მიიწვიონ ჩაფრები და სხვა მოხელეები ერბოყველზედ, შინაურს არაყზედ და ხანდისხან ძალიან კარგს სადილებზედაც; ხანდისხან აბაზებსაცა პოულობენ, რომ ძალის დამტანებლების გული მოალბონ და ბეგარაზედ არ გაიყვანონ. Ამისათვის ეს ნაწილი მოხვევებისა ხან გადიან ბეგარაზედ და ხან არა,—ეგ მამასახლისის და ჩაფრების კეიფზედ არის დამოკიდებული.

Მესამე ნაწილიც ისინი არიან, ვინც შეიძლებს არამც თუ მამასახლისის და ჩაფრების გულის საკმაო შეჯერებას, არამედ სხვა უფრო დიდრონების გულიც რითიმე აქვს დაკმაყოფილებული. Ესენი ყველა ბეგარისაგან განთავისუფლებულნი გახლავან. Ბეგარისგან განთავისუფლებულები გახლავან კიდევ ურიადნიკი და ჩაფრები, თავიანთის სახლობით, რომლებიც თავის ნებით შედიან სამსახურში და ძალიან კარგს ჯამაგირსაც იღებენ, სხვა შემოსავალის გარდა. Ურიადნიკსა აქვს წელიწადში 300 მანეთი ჯამაგირი; სახლი და ცხენის სადგომი სახემწიფოთ, ზაფხულში საძოვარი და საქმე კი სრულებით არაფერი, გარდა ამისა, რომ როცა ნაჩალნიკები ან სხვა ვინმე დიდი კაცი მოვა ჩამოიკუნკულებს ხმალს და ჩაბძანდება სტანციაში.

Თუ ისეთი ვინმე იქნა ამ მოსულებში, რომ ურიადნიკ-ჩაფრებმა უნდა გააცალონ, მაშინ ხომ საჩუქარსაც მიიღებენ. Დანარჩენი დრო შინა ბძანდება ბატ. ურიადნიკი და თავის საქმეს აკეთებს. Მაგ. Სტეფანწმინდის ურიადნიკს დუქანი აქვს, შედის ფოდრიადებში და სხვა. რასაკვირველია, კაცისათვის გარჯილობა დასაძრახისი არ არის, მაგრამ რა რიგი მიმართულება აქვს იმ გვარი პირის ვაჭრობაში გარჯილებას, რომელიც თითონ მოხელე არის, იმაზედ შემდეგში მოვილაპარაკებთ და ეხლა კი გადავდივარ ერთს იმ გვარ თარხნებზედ, რომელიც ყველასთვის გასაშტერებელი უნდა იყოს:

Სოფელს Სტეფანწმინდაში მონადირე Გ. Ფ. განთავისუფლებული არის სტანციის გოსტინიციის მოიჯარადრესაგან, რომელსაც ეს მონადირე სხვა და სხვა ნადირის ხორცს უზიდავს! Კობს მედუქნე Ი. Ა—შვილთან იდგა მოჯამაგირეთ სოფელს Თოთში მცხოვრებელი Ნ. Ჯ—შვილი და ამისათვის სახლობით იყო განთავისუფლებული! Ბეგარისაგანდა სხვა და სხვა.

რასაკვირველია Ლეზერს და Ი. Ა—შვილს, თავის-თავათ, არ შეეძლოთ იმათი განთავისუფლება, მაგრამ ის ძველებური ჩვეულება, რომელიც უწინ იყო ხოლმე ვაჭარსა და დიანბეგების შუა, ეხლაც ისევ ისე დარჩენილია ჩვენს ხივში და ნებას აძლევს სხვა და სხვა ვაჭრებს თავისი თარხნებიც კი იყოლიონ!

Გიკვირს განა, მკითხველო?... Მეც მიკვირს, სწორეთ გითხრა; და ამისათვის ვანბობ: „საკვირველ ხარ შენ, უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“.

ა. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება)

*Moniteur Universel*-ს სწერენ ლონდონიდამ, რომ ვითომც გლადსტონი და ბისმარკი ერთმანერთთან შეთანხმებულიყვნენ, პორტას ძალით დაუტოვონ იმ შემთხვევაში, თუ იგი კუნძულს კრიტს დაუთმობს საბერძნეთს.

—

ჰავასის სააგენტოს აცნობებენ სტამბოლიდამ რომ ევროპის ოსმალეთში მდგარის ნიზამის თაბორების შემადგენელ კაცების რიცხვს მოუმატესო, ასე რომ ეხლა რვა ასი კაცია თითო თაბორშიო.

—

ოსმალურს გაზეთში, სტამბოლში, (ფრანცუზულს ენაზე იბეჭდება. რედაქტორი ფრანცუზია) სწერია ერთს პრუსიელ მოხელეზე, ვეტტენდორფზე, რომელიც მოწვეულ იქმნა პორტასაგან ოსმალეთის ფინანსთ სამინისტროში სამსახურებლად:

„არ ვიცით რამდენად იცის ამ ბატონმა ის საქმე, რომლისთვისაც მოწვეულია, მაგრამ ჩვენ ვუწყით, რომ ის არის იმ ქვეყნის შვილი, რომლის ფინანსის მოხელეებმა ვერ მოახერხეს ომით ნაშოვნი მილლიარდების შენახვა“.

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრ საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმ., ქიუზარიანცი—სირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი—სირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი—ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი—სირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაბოევი—გულისა და შიგნეულების და გერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ჟურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ობრესტი ავათმყოფებს, კისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

---

# განცხადებანი

—

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

### საკუთრივ

# სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

***NOUVEAUTÉS PARISIÉNNES*'-ის**

### ფირმით

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვლობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, აპეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---

**მურაბა** გემრიელი, კანფეტები ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისი მაღაზიაში.

(40—25)

---

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

---

## პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები საზურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—29)

---

### შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

### მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ხლა 2 მანეთად ღირს.

(100—20)

---

**წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!**

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—24)

---

ვტოვებ ტყის ვაჭრობასა და ამის გამო, რადგან კიდევ დარჩა გაუსაღებელი 5,000 **კარგი მშრალი ფიცარი ფიჭვისა** და **ნაძვისა** $1^1/_2$ ვერშოკიდამ 1 დიუმამდინ (გოჯამდინ) სისქით, ვყიდი ამ ტყის მასალას და ვისაც ჰსურს შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკს ბუჭყიევს, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

თუ მსურველი აღმოჩნდება და ყველა ამ მასალას ერთად იყიდის, თითო ფიცარზე 5% დაუთმობ.

აქვე იყიდება გერცკალური ხეების გადასატანად.

(3—2).

---

დაბოლოებითი [illegible]

# დაყიდვა

ამ თვის ბოლომდის ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში. ჩულქები, წინდები, ცხვირ-სახოცები, პაროსინები, სურათები, დუხები, თოფები, რევოლვერები, კლიტენი, ხერხები, დანები. კოვზები, სამწყურვალო ციტრატ მაგნეზიები და სხ. იყიდება ეხლა 25% და 50% უფრო იაფად ვიდრე სხვაგან არის.

(10—9)

---

### იყიდება
### ახალი წიგნი
### სამწერლო,

# თაიგული

გამოცემული ილია ჭყონიასაგან.

შინაარსი:

**1.** ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა **II** უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. **III** ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. **IV** მ... სადმი (ლექსი) გ—სა. **V.** ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. **VI** ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. **VII** ხასიათის გავლენა, სამუელ სმაილსისა **VIII** უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. **IX** ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. **X** მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ხთი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

---

# კანტორა

### ოდესსის ვაჭრის

# იაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმამოდგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

(30—22)

Дозволено цензурою. Тифлисъ 25 Іюля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი